ლიტერა

„ოკეანედი, ტურფა ქალწ

ა,
ილბილე, ალერი ბრძენი,
და შენ, ქართველო, სწავლულთა
სამშობლო კაცსა ბრძენ.“

№ 6 საქართველოს აღმ. ცენტრალური კომიტეტის ორგანო მეთიერულებათვის

ივნისი 1955

572
1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექო შენგელია

ნახატები მ. ჩოლინიშვილისა

მგზავრობა მოსკოვის მეტროში

ბ)ატარავ, აი, მოსკოვი,
ქ)ალაქი გაზაფხულისა,
ა)ამედი ყველა ხალხისა,
_)იმღერა ყველა გულისა.
ლ)ახილე კრემლი მაღალი,
ბ)ასოფლიოს გული აქ არის,
ბ)როგორც ხალხია მაგარი,
ბ)ასე კრემლია მაგარი.
ბ)ითელ მოედანს გახედე,
ბ)ავზოლეუმთან შეჩერდი...
ბ)ერ შეედაროს ჩვენს მოსკოვს
ბ)ვეყნად ქალაქი ვერც ერთი.
ბ)ეჩერდი, ჩემო პატარავ,
ბ)ესმინე, დააყურადე,
ბ)ალიდი გულივით რომ გააქვს
ბ)უგუნი კრემლის კურანტებს.
ბ)ისი ხმა ხალხის ხმა არის,
ბ)ამედი ყველა ჩაგრულის,
ბ)ას ნათელ გზაზე, სწორ გზაზე
ბ)ამოჰყავს გზადაკარგული.
ბ)ითელ ქვეყანაზე უსმენენ
ბ)ამედით კრემლის კურანტებს,
ბ)ისი ხმა დროშად მოუძღვით
ბ)შვიდობის დამცველ გულადებს...
ბ)ენ როცა სწავლით გვახარებ,
ბ)ანა მოსკოვმა არ იცის!



დიადი დედაქალაქი
მას დედასავით განიცდის.
ძმა რომ ყაზახეთს წავიდა,
იქ რომ სიცოცხლე განახლდა,—
ყამირ მიწასთან ბრძოლაში
მოსკოვის შუქი თან ახლდა.

პატარავ, აი, მოსკოვი,
გავიცნოთ მოსკოველები,
ნამდვილად ოქრო გული აქვთ,
ნამდვილად ოქრო ხელები.
ამ სასახლეებს გახედე,
ფართო პროსპექტებს და ბაღებს,
ლამაზი მომავლისათვის
შექმნილს, აღმართულს, ანაგებს.
ვთვალო, რა ვთვალო, რამდენი,
ვნახო, რა ვნახო, რომელი,—
ტროლეიბუსით, ტრამვაით
გზად დაყოვნება მომელის.
და რადგან ვჩქარობ გაჩვენო,
გაგახარო და გიამბო,
ჩავსხდეთ იმ მატარებელში,
მიწისქვეშ გზას რომ მიაჯობს.
ეს მეტრო არის. ჩვენს მეტროს
ვერ შეედრება ვერც ერთი,
ეს არის ჩუქურთმიანი
მოსკოვის მიწისქვეშეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6653

მოსკოველებმა ბევრი რამ
შექმნეს მკვიდრი და ლამაზი,
მიწაზე ბევრი სასახლე,
მიწისქვეშ ბევრი დარბაზი...
რომ უფრო კარგად გამიგო,
რასაც ვიტყვი და მოვყვები,
წარმოიდგინე – ჩემთან ხარ,
გრძელ დერეფანში მომყვები.
აი, სადგური. ჩავდივართ,
თეთრ საფეხურებს ჩავივლით,
ბრწყინავს ათასი ნათურა,
ათასი შუქის ყვავილი.
შეხე, რამდენი მგზავრია,
განა მივდივართ მარტონი!
აგერ, მოძრავი კიბეა,
იგივე ესკალატორი.
საფეხურზე რომ შედგები,
მიჰქრი და მიჰქრი ქვევითა,
თან მიგყვებიან ჭაღები
ციმციმით, შუქის ფრქვევითა.
და როცა კიბეს დატოვებ,
გახტები ოდნავ ბარბაცით,
მარმარილოთი ნაჭედი
წინ აგვნთება დარბაზი.
მიმოიხედე, ჩუქურთმებს
ვით დაუქარგავს კედლები.
ქვაზე ამოჭრილ სურათთან
აუცილებლად შედგები:
ეს დიდი რევოლუციის
მოთხრობა არის წარმტაცი;
აგერ, მეზღვაურს შეხედე,
რარიგად იბრძვის ვაჟკაცი.
აგერ ჯარისკაცს, აგერ გლეხს
და მუშას, გულმკერდგაღეღილს,
წინ მიაქვთ დროშა წითელი
რევოლუციის სახელით.
შეხედე, მარმარილოში
ელვარებს წინ ხელგაწვდილი
ლენინი, დიდი ბელადი,
რევოლუციის არწივი.
ეს ყველაფერი ოქტომბრის
ბრძოლების ანარეკლია,
თავისებური, დიადი,
სამარადისო ძეგლია.

დაიმახსოვრე, პატარავ,
რას მეტყველებენ კედლები.
აგერ, ჩამოდგნენ გრიალით
ცისფერი მატარებლები...
უცებ გაიღო კარები,
ხალხი ჩარიგდა ბაქანთან,
ჩასხდნენ და მატარებელი
ელვის სისწრაფით გაქანდა.
ჩვენც მათთან ერთად ვიჩქაროთ,
წინ მრავალს ვნახავთ უნახავს,
რასაც ეს მიწისქვეშეთი
ლამაზ მომავალს უნახავს.
აი, შევჩერდით. ამ დარბაზს,
სავსეს სინათლის ჩქერებით,
სადგურ „ლენინის მუზეუმს“
ეტყვიან მოსკოველები.

ბორჩალოს საზ. საქ. სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ნიშნავს,—ზემოთ დიადი
მუზეუმია ლენინის,
უსაყვარლესი ადგილი,
ლენინის შუქდაფენილი.

კვლავ ჩავსხდეთ მატარებელში,
აჰა, მეორე სადგური,
ესეც მესამე, მეხუთე...
მიწაში მკვიდრად ჩადგმული.
როცა მტერს მედგრად უტევდნენ
ვაჟები მხარგაშლილები,
მეტროში თავს აფარებდნენ
მათი პატარა შვილები.
სტალინი, მთავარსარდალი,
მაშინ კრემლიდან მოვიდა,
მიუალერსა პატარებს
გათეთრებულმა ომითა.
დედებს, მობუცებს იმედად
თავზე დაადგა ბელადი,
და მისი შუქი გაბრწყინდა
მეტროდან ბრძოლის ველამდი.

დაიმახსოვრე, პატარავ,
ნახე, გაიგე, იცანი,
შენი ნათელი დღე იყო
მამების ბრძოლის მიზანი.

მიჰქრიან მატარებლები,
გვირაბის ხახა ილება,
წუთში ბნელ გვირაბს გავირბენთ
და ისევ შუქი ილვრება.
და ისევ თეთრი დარბაზი,
და თეთრი, თეთრი სვეტები,
ქართული მარმარილოთი
დამშვენებული კედლები.
ისევ გვირაბში შევედით,
სხვა სადგურს ვუახლოვდებით,
ეს კი „წითელი პრესნაა“,—
გმირული სახელწოდებით.
დიახ, „წითელი პრესნაა“,
შეხე, რა სურათებია,
ცხრაას ხუთი წლის ამბებზე
რა მიმზიდველად ჰყვებიან.
ჩვენს ზემოთ მრავალ ქარხანას
გააქვს დღედაღამ გუგუნი.
ეს მხარე ბევრჯერ ყოფილა
დამწვარი, გადაბუგული.

პრესნელმა ბრძოლა იცოდა,
არასდროს უკან დახევა;
მას შემდეგ გადაუვლია
მთელი ასი წლის ნახევარს,—
რაც მოსკოველმა მუშებმა,
აი, ამ პრესნის მკვიდრებმა,
წითელი დროშა აღმართეს
და მოიხვეჭეს დიდება.
ებრძოდნენ მეფის მთავრობას
რევოლუციის ერთგულნი,
მათ დაძახილზე დგებოდა
ყველა მონა და ბედკრული.
მოსკოვი პრესნას ადიდებს,
ნარბევს, ნახანძრალს, ნატყვიარს,
პრესნა მოსკოვში პირველი
გაჰყვა ლენინის პარტიას...
აქ ახლა მრავალ ქარხანას
გააქვს გუგუნი დღედაღამ.
და შრომაშიაც პრესნელებს
ჩამორჩენილებს ვერ ნახავ...

ახლა კი სხვა მატარებლით
გავსწიოთ მეტროს სხვა გზაზე,
აქაც ვიხილავთ სადგურებს,
მოვარაყებულს, ლამაზებს.
ეს სადგურია შემდეგი,
მიწაში ღრმად ჩაკირული,
ამ სადგურს მოსკოველებმა
უწოდეს „კომკავშირული“.
მის ზემოთ ერთი სასახლე,
სართულმრავალი, მაღალი,
მთელს დედაქალაქს გაჰყურებს,
მთელს დედაქალაქს დაჰხარის.

ცაში ამაყად აჭრილა
სიმაღლით ასე განთქმული,
მის თავზე ლალის ვარსკვლავი
ღრუბლებში არის ჩანთქმული.
და განა ერთი? ბევრი აქვს
მოსკოვს სასახლე ამგვარი,
ხალხის დიადი ქმნილება
და მისი ნაამაგარი.
მოსკოვი, ჩემო პატარავ,

ისე დიდია, ვრცელია,
ერთ დღეში მისი გაცნობა,
მისი შემოვლაც ძნელია.
გრძელია მეტროს რკინიგზა,
ბევრია მეტროს სადგური,
და კიდევ ახლის შენება
მოსკოვს მტკიცედ აქვს ჩათქმული.

გზაზე ბევრია ტრანსპორტი,
მაგრამ ყველა მგზავრს ვერ იტევს,
რადგან ბევრი ჰყავს სტუდენტი
მოსკოვის უნივერსიტეტს.
ეს შუქმრავალი სასახლე
მთელი მოსკოვის თვალია,—
ჭაბუკებსა და გოგონებს
აქ მისთვის მოუხარიათ.
დიდი ლენინის გორაზე
ცოდნის ტაძარი აშენდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშვენიერი ქალაქი
კიდევ და კიდევ დამშვენდა.
თუმცა ბევრია ტრანსპორტი,
სტუდენტებს მაინც არ ჰყოფნით,
მეტრო შენდება—მუშაობს
მანქანა მიწის გამპობი.
და მალე აქაც, მიწისქვეშ,
ათასი შუქის ყვავილი
გულს გაგვინათებს, პატარავ,
ახალ გვირაბს რომ გავივლით.
ვთვალო, რა ვთვალო, რამდენი,
ვნახო, რა ვნახო, რომელი,
მრავალ სასწაულს გვპირდება
მოსკოვი დაუცხრომელი.

ახლა იმ მხარეს ვიჩქაროთ,
გზა რომ ბაღების ტყეს მისდევს,
ამ ადგილს ხალხი უწოდებს
სახალხო უნივერსიტეტს.
სასოფლო-სამეურნეო
გამოფენაა გარშემო,
თქვენი ბეჯითად ნაშრომიც
აქ მოდის, ჩემო ბავშვებო!
ეს დიდი გამოფენაა
ჩვენი ხვავის და ბარაქის.
ეს დაქარგული ადგილი
ბაღიც არის და ქალაქიც.
აქ ყოველმხრიდან მოდიან
ცნობილი კოლმეურნენი,
მოაქვთ ფორთოხლის სურნელი,
მოაქვთ ყანების სურნელი.

აქ ასწავლიან ერთმანეთს
უკეთ შრომას და ცხოვრებას.
აქ ნახული და განცდილი
ყოველთვის გემახსოვრება.
სულ მალე აქაც, მიწისქვეშ,
გაივლის მეტროს რკინიგზა,
ჩუქურთმად ამეტყველდება
სახელი შრომის გმირისა.
მე მინდა, მარმარილოზე
ეხატოს უცხო ფერებით
თავთავიც – გახარებული
თქვენი პატარა ხელებით...

აქ დავამთავრეთ ამბავი,
კიდევ ბევრია სათქმელი,
მართლაც ვრცელია მოსკოვი,
იდიდოს მისი სახელი.
წითელ მოედანს გახედე,
მავზოლეუმთან შეჩერდი,
ვერ შეედაროს ამ ადგილს
ქვეყნად ადგილი ვერც ერთი.
აქ სძინავთ დიად ბელადებს,
ლენინს და სტალინს აქ სძინავთ,
და თავდადებულთ ხალხისთვის
ხალხთა გულებში აქვთ ბინა.
მათი დიადი სახელი
დროშებზე შუქად ხატია,
მათი სახელით იმარჯვებს
ჩვენი ხალხი და პარტია.



ბორის ჩხეიძე

ნახატები მ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა და ზალიკო

ისინი ზამთარში დამეგობრდნენ. ერთი სახლის კარიდან გოგონა გამოვიდა, მეორე სახლიდან—მისი ტოლი ბიჭი.

— სკოლისაკენ მიდიხარ?—გაეხმაურა გოგონას ბიჭუნა.

— შენ რა იცი, სად მივალ?! —გაჯავრდა გოგონა.

— ძნელი საცოდნელი არ არის, წიგნები გიჭირავს ხელში; სკოლის დერეფანშიც ხშირად გხედავ, „ა“ კლასში სწავლობ, დეიდა ივდითი გასწავლის.

— ერთ სკოლაში ვყოფილვართ.— გაეღიმა გოგონას.—რომელ კლასში ხარ?

— მეც შენსავით მეორე კლასში ვარ. დეიდა მელიტა მასწავლის.

— ვიცნობ დეიდა მელიტას. აბა, გავსწიოთ ერთად!

ბავშვებმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს. ფრთხილად მიდიოდნენ,—ღამით გაეყინა ქვაფენილი, მოეთოვა კიდეც.

— რა გქვია?—ჰკითხა გოგონამ.

— ზალიკო! შენ რაღა გქვია?

— ლელა.—უპასუხა გოგონამ და შეეხვეწა:—ზალიკო, შინაც ერთად დავბრუნდეთ ხოლმე. ფინიების მეშინია, მიყეფენ... დიდ ძაღლებს კი არ ჰგვანან, დინჯად რომ ჩაგივლიან.

— ფინიებს მოგიგერიებ. ყველას ეშინია ჩემი, რომ გამოვეკიდები, კუდამოძუებულები გარბიან!

— საღამოზე ჩვენთან მოდი, დავისწავლოთ გაკვეთილები. — შეეხვეწა ლელა.

— ჩვენთანაც მოდი. დედაჩემს გაეხარდება.—დაეთანხმა ზალიკო.

— ხან თქვენსა, ხან ჩვენსა!

ამ საუბარში მალე სკოლას მიადგნენ. იქ ძალიან თბილოდა. დერეფანში ამაყად დადიოდა ბიძია ბესარიონი, წვერებზე ისვამდა ხელს; კმაყოფილი იყო, რადგან სკოლას ის ათბობდა.

ასე გრძელდებოდა მთელ ზამთარსა და გაზაფხულზე. ერთად დადიოდნენ ბავშვები სკოლაში. ხან ზალიკო მიდიოდა შინ ლელასთან, ხან ლელა ზალიკოსთან. ერთმანეთს დასწავლილ გაკვეთილებს უამბობდნენ, წერდნენ, ამოცანებს იყვანდნენ.

მეოთხედში თანაბარი ნიშნები მიიღეს.

— რატომ მოხდა ასე?—იკითხა ლელამ.

— იმიტომ, რომ ერთად ვმეცადინობდით!—მიუგო ზალიკომ.

ბეჯით შრომაში უეცრად დაილია სასწავლო წელი. ქალაქის ქუჩებზე ჩამწკრივებული ხეები შეიფოთლა. ახლომახლო ტყეები და მინდვრები ამწვანდა. ხანდახან თბილი წვიმა მოდიოდა. მაშინ ზალიკო და ლელა ეზოში დარბოდნენ თავშიშველები: წვიმა თმასაც მოუხდება, დიდი გავეზრდებაო. თმა მართლაც ეზრდებოდათ,—ოღონდ ზალიკოს უმალვე ძირში პარსავდნენ, ლელას კი ნაწნავები თანდათან უგრძელდებოდა; ზალიკოს ენატრებოდა ქოჩრის გაზრდა.

— ქოჩორი ამომივა ზაფხულში. იცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად მივალ? შაორზე მივდივარ, რაჭაში. იქ წვიმა ხშირად მოდის. იცი, სად არის შაორი? თბილისის სადგურზე მატარებელში ჩაჯდები, წახვალ, გაივლი მტკვრის პირის მინდვრებს, გაძვრები დიდ გვირაბში, შიგ მთების შუაგულში რომ არის გაყვანილი, ქუთაისთან მარჯვნივ გაუხვევ. მერე მანქანით წახვალ. ერთ მთას მოექცევი მაღლა. მთაზე ტბა არის, მთის ქვეშ კი გვირაბებია, საიდანაც ქვანახშირი გამოაქვთ მუშებს. ჩემი პაპა შაორზე ელექტროსადგურს აშენებს. როცა ჩავალ, მანქანაში ჩამისვამს დიდედასთან ერთად და ჰერი ბიჭო, ნახე რაც გინდა ქვეყანაზე: გვირაბები, ის ქვანახშირი, რითაც ბიძია ბესარიონი სკოლას გვითბობს...

— უჰ, რა კარგია. — ამბობს ლელა.— არც მე დავრჩები თბილისში. პაპა და დიდედა ჯავახეთში მიმელიან. პაპას დიდი, ძალიან დიდი ხარები ჰყავს! თითო მათგანი სატვირთო ავტომობილზე არ დაეტევა. ჯავახეთისთანა მინდვრები, მაღალი მთები და ქედები სხვაგან არც კი მეგულება. წელამდე იზრდება ბალახი. იქ მოჰყავთ ყველა კუთხიდან ცხვრის ფარები. ყოველ ნაბიჯზე ღელე და მდინარეა. წყლები სავსეა კალმახით, ყანებს ხომ გვერდს ვერ აუვლი. არ გაგიგონია?

მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იყო მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა.

— უჰ, რა კარგია! — თქვა ზალიკომ,— ოღონდ ერთი რამ არის ცუდი.

— რა?

— ერთმანეთს ვერ შევხვდებით, სხვადასხვა მხარეს ვიქნებით.

— წერილი მომწერე. — ურჩია ლელამ.

— რა კარგია, რომ უკვე ვიცით წერა-კითხვა. — გაიხარა ზალიკომ და ისევ მოიწყინა, — ჯავახეთში ახალი ამხანაგი რომ გაიჩინო?!

— ძველ ამხანაგს მივუმატებ და ბევრი მეყოლება. — მიუგო გოგონამ.

— მაშ, ნახვამდის, ლელა!

— სექტემბრამდე, ზალიკო!

ივნისი იწყებოდა. თბილისში ძალიან დაცხა. ზალიკო და ლელა მატარებლით გაემგზავრნენ — ერთი ჯავახეთში, მეორე რაჭაში. ვაგონები სავსე იყო ბავშვებით, — ისინიც საგარაკოდ მიემგზავრებოდნენ.



ილია სიხარულიძე

ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირს დავიბანთ ხელად



მზეო, ფანჯარაში
რატომ იჭვრიტები?
გავიღვიძეთ ყველამ,
აი, უკვე ვდგებით!

მალე პირსაბანთან
ჩავმწკრივდებით ყველა
და ცივი წყლით, საპნით
პირს დავიბანთ ხელად!

მზეო, ფანჯარაში
რატომ იჭვრიტები?
ჩვენ ჩიტებთან ერთად
ვიღვიძებთ და ვდგებით!

წყაროზე

აგერ რომ მოჩუხჩუხებს,
ჩვენი წყაროს წყალია;
შიგ ხელს ვერ გააჩერებ,
ცივი არის ძალიან.

ირგვლივ ფანტავს ცივ შხეფებს,
მეტისმეტად უხვია;
ყვავილები მადლობას
თავის ქნევით უხდიან.

ნეტავ არ დაიღლება,
მუდამ ასე იტტუნებს?
ტანის ბანა მის შხეფში
როგორ უყვართ ჩიტუნებს!

მის ნაპირზე ბალახში
წითლები რომ აწყვია,
ჩვენ რომ გვიყვარს, ბავშვებო,
გემრიელი მარწყვია.

ამ წყაროზე ხშირ-ხშირად
დაგვატარებს ალმზრდელი;
აქ რა ყვავილებია!
მერე იცით, რამდენი?

ვარდკაჭკაჭა, ლიღილო,
ფუტკარა და გვირილა;
დავკრეფთ ლამაზ ყვავილებს,
გავიკეთებთ გვირგვინად.

გვიყვარს ჭრელი პეპლები,
თავზე რომ გვევლებიან;
ჭრიჭინები ჭრიჭინით
ნეტავ არ იღლებიან?

აფრინდება კალია
თვალებგადმოკარკლული;
ისმის ჩხიკვის „ჩხი-ჩხი-ჩხი!“
და კოდალას კაკუნი.

წყაროს მოჩქეფს, ჩუხჩუხებს,
დაღლას სულ არ აპირებს,
და ცივ შხეფებს აპკურებს
ამწვანებულ ნაპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ხახუბაშვილი

ყვა, ყვა, ყვაჩალია

— ყვა, ყვა, ყვაჩალია,
ყვაჩას დედა მოჰკვდომია,
შეუხრამ-შეუყლაპია...
ფრიიიი!

ამ სიტყვებით დიდედა პატარა თენგიზს ფუნჩულა ხელებს ერთიერთმანეთზე დაუწყობდა, მერე თავისი ორი თითით ბავშვის ხელებს ზევით ფრთხილად ასწევ-დასწევდა, შემდეგ გაუშვებდა და ჰაერში თავის ხელებს ისე შეათამაშებდა, ვითომ ყვაჩალამ წიწილა გადასანსლა და გაფრინდაო. თენგიზი სიცილით კუჭკუჭებდა და თანაც ხელებს კოხტად შლიდა. თენგიზის უფროს ძმას, გაიოზსაც უყვარდა ამ თამაშში ჩარევა, მაგრამ ერთხელ გაიოზმა ისე მაგრად უჩქმიტა ხელზე, ისე ჩააფრინდა, რომ მოხუცმა დაძარღვული ხელი ძლივს გამოაცალა.

ერთ დღეს თენგიზმა თავისი ხელები ერთიმეორეზე დადო და დიდედას „ყვა-ყვას“ თამაშობა სთხოვა. ის იყო თამაში დაიწყეს, რომ გაიოზიც თავზე წამოადგათ. თენგიზი უმალ დიდედას ხელებს პატარა მკერდით გადაეფარა და გაიოზს შეუბღვირა:

— აქ არ არის, დიდედას ხელები ფრიი, ფრიიი!

ნაზი კილასონია

„ეტლი“ დაუთმე ტიკინებს

გარეთ ნუშები აყვავდნენ,
გარეთ მზიანი დარია,
უწინ თუ „ეტლით“ დამყავდი,
დღეს ფეხით წამყევ, დაია.

თუ ფეხი ქვაზე იტკინე,
გაგივლის, გენაცვაღები,
„ეტლი“ დაუთმე ტიკინებს,
დაუჭყეტიათ თვალები.

ნახატები რ. ᲡᲣᲨᲙᲘᲠᲘᲫᲘᲡᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო და ბაბრია

თამროს ლამაზი დედოფალა ჰყავდა. ის მუდამ პაწია ტახტზე იჯდა და კედელზე მიყუდებული ყველას ღიმილით უყურებდა.

ერთ დილას თამროს დედოფალა გვერდზე უხეიროდ წაწოლილი დაუხვდა და გოგონა გაუწყრა:

— არა გრცხვენია, მაგოდენა ქალი ხარ და ყირამალა დგები!—თანაც თითი დაუქნია, ცელქობა არ შეიძლებაო.

პაწია ლეკვი ბაჯბაჯით სწორედ მაშინ შემოვიდა, როცა თამრო თითს უქნევდა დედოფალას. ლეკვი თითქოს მიხვდა, თამრო დედოფალას უჯავრდებაო, გაქანდა, კაბის კალთაში პირი წაავლო და ძირს გადმოათრია.

— აი, შე საძაგელო ბაბრია, ეგ რა ჰქენი! განა პატარებს ეგრე სჯიან? მამამ არა თქვა: დამნაშავეს დარიგება უნდა, ყველაფერი კარგად გააგებინე და ცუდს აღარ ჩაიდენსო?!—დატუქსა თამრომ.

გრძელი შარვალი ჩამაცვით

ვერ ჩავერიე თამაშში,—
მომერეოდნენ დიდები.
გრძელი შარვალი ჩამაცვით
და ყველას დავეჭიდები.

ანდრო ლომიძე

ქორი და ქედანი

ნახატები გ. თოთიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდანვე შევნიშნე: ცადატყორცნილ ვერხვის კენწეროს თავს დასტრიალებდნენ ქედნები. თოფში ვაზნები ჩავაწყე და ვერხვისაკენ გავეშურე.

ვეება ვერხვი ამაყად დასცქეროდა მის ირგვლივ ამოსულ ბუჩქებს და ტანმორჩილ ხეებს.

ქედანი ძალზე ფრთხილი ფრინველია. ამიტომაც ვერხვთან ახლოს რომ მივედი, ხშირფოთლიან მაყვლის ბუჩქებს ამოვეფარე, ავიხედე და განვცვიფრდი: არც ერთი ქედანი აღარ იყო.

მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდა ქედნების გუნდი. ქედნები შეჩერდნენ ვერხვის კენწეროსთან, დასხდომა დააპირეს, მაგრამ უცებ გაფრინდნენ. „ალბათ დამინახეს“,— გადავწყვიტე და ბუჩქში შევძვერი. ისე

კარგად შევინიღბე, რომ ქედნები ვერხვის კენწეროდან კი არა, მაყვლის ბუჩქთან სულ ახლოს რომ მოფრენილიყვნენ, მაინც ვერ დამინახავდნენ.

აი, კვლავ ვხედავ ქედნებს, მესმის მათი ცისფერი ფრთების შრიალი. ქედნები წრეს ხაზავენ კენწეროსთან. ვფიქრობ — ვესროლო თუ არა?! ჩვენს შორის მანძილი დიდია, ჩემი თოფი ვერაფერს დააკლებს ქედნებს, და მაინც ვდელავ, ოითი სასხლეტისაკენ გამირბის, თავს

ძლივს ვიკავებ. ქედნების ეს გუნდიც უკანვე გაბრუნდა. ნეტავ რა მოხდა, ნუთუ მომკრეს თვალი? თითქმის ორი საათი ვიყავი ბუჩქში დამალული. ქედნები განუწყვეტლივ მოედინებოდნენ ვერხვისაკენ, მაგრამ ზედ რატომღაც არა სხდებოდნენ. ბოლოს, ერთი ქედანი შტოზე ჩამოჯდა, შტო გადაიხარა, აქანავდა. ქედანმა ფრთები რომ გაშალა გასაფრენად, ვესროლე. ქედანი გადმოტრიალდა, დაეშვა. ამ დროს რაღაც მოწითალო ფრინველი მოწყდა ვერხვის ტოტს, ქედანი დაიჭირა. სწორედ მაშინ ვესროლე იმ უცნაურ ფრინველსაც; ქედანი და მოწითალო ფრინველი ჯერ ერთად მოფრიალებდნენ ქვევით, მერე განცალკევდნენ და ვერხვის ფესვებთან დაცვივდნენ. მოწითალო ფრინველი ქორი აღმოჩნდა. ფრთამოტეხილი ქორი ქარვისფერი, ავი თვალებით შემომცქეროდა.

ქორი ჭკვიანი, ეშმაკი ფრინველია. ქორმა იცის, რომ ქედანი მასზე სწრაფად დაფრინავს. ამიტომ ასეთ ხერხს მიმართა: ვერხვის ტოტზე გაინაბა, იქნება რომელიმე ქედანმა ვერ შემამჩნიოს, ჩემს გვერდით დასკუპდეს, მაშინ ვეცემი და კუჭს გამოვიძღებო.

მაგრამ ქედნები ხედავდნენ მათ მოსისხლე მტერს და ამის გამო არა სხდებოდნენ ვერხვზე.

ნინო ნაკაშიძე

ნახატი გ. თოთიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჯრუღა და ნათელა

— სკოლიდან შინ რომ ვბრუნდებოდით, დავინახეთ, ჩვენ წინ მიდის ბებია ფედოსი,—უამბობდნენ ნატრულა და ნათელა თავიანთ ბებო ეკატერინეს.—იცი, ბები, როგორი მოხუცია ბებია ფედოსი? მიდიოდა ბებია ფედოსი ნელა-ნელა... მიჰქონდა ორი თოფრაკი. გზადაგზა ხვნეშოდა, დადებდა თოფრაკებს და ისვენებდა... მერე ისევ აიღებდა და ისევ შეუდგებოდა აღმართს. ბებია ფედოსი ჩვენს ზევით გორაკზე ცხოვრობს.

— მოდი, დავეხმაროთ,—მითხრა ნათელამ.

— დავეწიეთ ბებია ფედოსის, ამოვუდექით აქეთ-იქიდან გვერდში და გამოვართვით თოფრაკები. მძიმე არ იყო, მაგრამ ბებია ფედოსის მძიმედ ეჩვენებოდა. უჭირდა წაღება. ჩვენ გამოვართვით და წავუღეთ... ოჰ, როგორ გაუხარდა, რომ იცოდე!..

— თქვენ გაიზარდეთ, თქვენ გაიზარდეთ,—გვითხრა მან,—რა კარგი გოგონები ხართ...

ბებია ფედოსი მოგვყვებოდა თავისუფლად და მხიარულად, მაგრამ მაინც მოხრილი ჰქონდა ზურგი. მე შევეკითხე ნათელას:

— ახლა ხომ ტვირთი არ მიაქვს ბებია ფედოსის, მაშ რატომ არის კიდევ წელში მოხრილი?..

ბებია ფედოსიმ გაიგონა ჩემი ნათქვამი, გაიღიმა და გვითხრა:

— ზურგს ვერ გავმართავ, გოგონებო. მე ოთხმოცი წელიწადი დამაწვა ზურგზე და გამღუნა.

— ჩვენ ყოველდღე მოგეხმარებით, ბებია ფედოსი,—ვუთხარით მე და ნათელამ, მივუტანეთ ტვირთი და ოთახში მაგიდაზე დავულაგეთ.

— თქვენ გაიზარდეთ, კარგი ბავშვები ყოფილხართ, დახმარება გყვარებიათ.—გვითხრა ბებია ფედოსიმ.

— ჰოდა, ჩვენ ხომ მართლა დავეხმარეთ მოხუცებულ ბებია ფედოსის?—ჰკითხეს ნატრულამ და ნათელამ ბებო ეკატერინეს.

— სწორედ რომ კარგი საქმე გაგიკეთებიათ.—მიუგო ბებო ეკატერინემ და ორივე გადაჰკოცნა.

ქ. ჭილაძეული

ნახატები ჯ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის კალოშები

შხაპუნა წვიმამ გადაიღო. სოფლის ბოლოს ცაზე ნაირფერი ცისარტყელა გადაიჭიმა.

პატარა ვანოს ძლიერ უყვარდა წვიმის შემდეგ ეზოში თამაში. ახლაც ეზოს მიაშურა: უკალოშებოდ ხომ არ ჩავიდოდა? ჰოდა, თავისი კალოშების ძებნაში დრო რომ არ დაეკარგა, მამის კალოშებში ჩადგა ფეხი.

კიბეებზე ჩასვლისას კალოშებმა ვანოს არ დაუცადეს და რახრახით ჩაგორდნენ... კიბის ბოლოს ვანომ ხელმეორედ ჩადგა კალოშებში ფეხი და ეზოში ჩაბიჯა. მაგრამ ცალი კალოში ისევ კიბეზე დარჩა, მეორე კი ტალახში.

— რა ურჩი კალოშებია?! საწყალი მამა, ნეტავ როგორ დადის ამ კალოშებით? — გაოცდა ვანო.

დ ა თ ო

დათოს დაბადების დღეზე უფროსმა დაიკომ სათამაშო ლომი და მგელი მოუტანა საჩუქრად.

დათომ მაშინვე კარადის უჯრიდან კანაფის გორგალი ამოათრია და „ცხოველები“ საწოლის ფეხზე მიაბა.

დათოს დაიკოს ძლიერ გაუკვირდა ძმის საქციელი და ჰკითხა:

— რად დააბი სათამაშოები?

— ვიდრე მოვაშინაურებთ, საშიშია. ესენი ხომ გარეული ცხოველებია! — დარწმუნებით მიუგო დათომ.

თინათინ ჯვირიკაძე

ნახატები ჯ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ვანო

პი-პი, პი-პი, ტუ-ტუ, ტუ-ტუ! —
საზიდს დინჯად მოაგორებს,
თეთრ ხალათში შემოსილი
მოხუც ექიმს მოგვაგონებს.
ძია ვანოს საყვირის ხმა
ბავშვებს როდი გამორჩებათ.
სიხარულით მოელიან
ბერიკაცის გამოჩენას.
აქეთ გოგი მოცუნცულებს,
რძისთვის ჭურჭელს ეძებს ლია,
პაწაწინა ნუნუ ყვირის:
„დედა, ჩვენი მერძევეა!“
უმადური არავინ ჰყავს,
დიდხანს არვის გააჩერებს.
ჯერ პატარებს გაისტუმრებს,
მერე კიდევ დანარჩენებს.
ამბობს: „თქვენთვის, კუდრაჭებო,
შრომას როგორ დავიზარებ.“
ჩამოასხამს რძეს და იტყვის:
„დიდი, დიდი გაიზარდეთ“.

მზიას გამგზავრება

ჯ. გოგიაშვილი

თოჯინები სიცხისაგან
წელში ოთხად იხრებიან,
წავიყვანო აგარაკზე,
თორემ ოფლად იღვრებიან!
ძლივს სუნთქავენ ეგ საწყლები,
ავუჩქარო, უკვე დროა,
რა დავტოვო, რომ არ ვიცი,
ყველაფერი საჭიროა!
ეს მანქანაც საკერავი
დამჭირდება, დავიჯერო?
არ წავიღო? მაშ თოჯინებს
კაბა როგორ შევუკერო?!
რასაც დავდებ ჩემს კუთხეში,
არაფერი აღარ მხვდება,
უჰ, ამ ცოცხმა მომკლა ქალი,
სულ ფეხებში მებლანდება.
ამ კასრით კი წყალს მოვიტან,
რომ ხელ-პირი დავიბანო,
ანდა ჭურჭლის დასარეცხად
წყალი რითი მოვიტანო?!
ცოტაც, ცოტაც მომიცადეთ,
არაფერი დამრჩეს, დედა,
აღარ მახსოვს, ამ ჩემს ეტლში
გამაკი თუ ჩავდე ნეტავ?!
თავბრუ მესხმის ფაცაფუცში,
ცალკე ჩავდგამ ფრთხილად უთოს,
ყურაქვიტა და დათუნია
სიცხით ლამის დაიხუთოს.
ჰო, მოვდივარ უკვე, დედა,
გზაზე აღარ დავიღამებთ,
რა ყოფილა გამგზავრება,
სწორედ გითხრათ, დავიღალე!

ი. ჯუანი

ნახატები ე. ქანდელაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმავიწყი სპილო

მე ერთი სპილო ვიცოდი,
ძლიერი,
დიდი,
ძვალმსხვილი,
საქვეყნოდ იყო ცნობილი
თევდორე ხორთუმაშვილი.
ჯანღონით იყო ძლიერი,
ყველაფრის გადამლახველი,
ვერ მოიცილა, ვერ იქნა,
გულმავიწყ სპილოს სახელი.
ვეება ჰქონდა ფეხები,
დრუნჩი—ეშვებით მორთული,
ტოლებში თავს იწონებდა
უშველებელი ხორთუმით.
თავი კი ჰქონდა რეგვენი,
ეს უნდა გითხრათ მართალი,
ერთ წამში ავიწყდებოდა
თვითონ თავისი ნათქვამი.
თუმც იყო სტუმართმოყვარე,
განთქმული პურის ჭამაში,
სადილის შემდეგ უყვარდა
კოტრიალი და თამაში.
ერთხელ შინ მიიპატიჟა
მოყვარე და მეზობელი:
—„სრულ შვიდ საათზე მობრძანდით,
აუცილებლად მოგელით“.
მასპინძელს დროზე ეწვია
სპილოთა მთელი კრებული,
არ დახვდათ ხორთუმაშვილი,
დაბრუნდნენ გაწბილებულნი.

თევდორე სხვაგან წასულა—
მონატრებია ბებია.
შინ მიწვეული სტუმრები
სულაც არ გახსენებია.
ერთი ნიანგის ოჯახმა,
მოყვარემ ჩვენი სპილოსი,
შინ დაპატიჟა თევდორე,—
წყალი შეესვათ ნილოსის.
მგონი, იმ დღესაც თევდორეს
მონატრებია ბებია,
ნიანგის ტკბილი ოჯახი
სულაც არ გახსენებია!
პატარა ვაჟი გაზარდა,
ამაყი და თავგასული,
და კიდევ ულამაზესი
და უტურფესი ასული.
ტკბილად გაზარდა შვილები,
თვალს უბრმავებდა მნახველებს,
მაგრამ ვერ იმახსოვრებდა
შვილების ლამაზ სახელებს.
სპილოს ვაჟს ერქვა „თეთრკბილა“,
თეთრკბილა იყო სწორედა,
მამა ეძახდა „ხორთუმას“,
სახელს ვერ იმახსოვრებდა!
ასულს კი ერქვა „ფუნთუშა“,
ფუნთუშა იყო სწორედა,
მამა „შავტუხას“ ეძახდა,
სახელს ვერ იმახსოვრებდა!
ხანდახან ავიწყდებოდა
თავისი გვარიც, სახელიც...
გაოცებული რჩებოდა
გულმავიწყ სპილოს მნახველი.
ეტყოდნენ:—ხორთუმაშვილო,
როდის წავიდეთ შეშაზე?..
—ხორთუმაშვილი ვინ არის?
ჩემი გვარია ეშვაძე!
სპილოს ცოლს ერქვა „წერწეტა“,
წერწეტა იყო სწორედა,
მეუღლის სახელს ვერაფრით
სპილო ვერ იმახსოვრებდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

6673

ცოლმა ითმინა, ითმინა...
ასეთი გასცა ბრძანება:
—ახლავე ექიმს ეახლე,
თავი თუ არ გენანება!
რა ექნა სპილოს, წავიდა,
უნდა ენახა ექიმი.
ექიმის ნაცვლად თევდორემ
მოინახულა ვეძილი.
შემდეგ მეგობრებს ეახლა,
ძმებიც ნახა და დობილიც,
მაგრამ ვერავის ვერ უთხრა,
რად იყო გულჩათხრობილი.
დურგალიც მოინახულა—
მექუდეც, ჩუსტის მკერავიც,
ვერავის გააგებინა,
გულით რაც სურდა, ვერავის.
—„ცოლმა მე რაღაც მიბრძანა,
არ მახსოვს,
შვილს გეფიცებით.
იქნებ თქვენ მითხრათ, კარგებო,
თქვენი ერთგული ვიქნები!“
იარა,
ბევრი იარა,
ამასობაში დაღამდა,
სხვაც ბევრი მოინახულა,
ვიდრე სამეფოლოს ნახავდა.
არც გზაში დაუსვენია,
არც არვის გამოედავა.
რომ დაინახა მეფედელმა,
მივიდა დასაეედავად.
თევდორე გონზე მოვიდა,
უთხრა:
—დაეედვა არ მინდა,—
თვალი მოავლო სამეფოლოს
და თითქოს წუთით გარინდდა.
იგი კვლავ გონზე მოვიდა
და გაუბრწყინდა თვალები,
დაახლოებით აუხსნა
მეუღლის დანაბარები.
დაფიქრდა გიგლა მეფედელი,
როგორ მოიქცეს, არ იცის,
თავისთვის წაიდუდუნა:
—„ამისი ცოდვით დავიწვი.“
პირველად ყელში ჩახედა,
შემდეგ გასინჯა ყურები...

—„ცოტაც მოიცა, ჰირიმე,
არ შეგაწუხებ სრულებით!“
სპილოს მკერდს დაუბრაგუნა
უშველებელი უროთი.
გულს ჩასჩურჩულა: „გაუძელ,
აქამდის თუკი გულობდი!“
—„ნუ გეშინია, ძამია,
მივაგენ, რასაც ვეძებდი,“—
და სპილოს გამოუწერა
განსაკურნავი რეცეპტი.
—„ცივი წყლით უნდა იბანო,
მომეცი ამის დასტური,—
ხორთუმი უნდა დაგქონდეს
ყოველთვის გამონასკული“.
სპილოს ჭკუაში დაუჯდა,
წავიდა შესასრულებლად,
არც მეფედელს დაემშვიდობა,
სულ შეეცვალა გუნება.
ცივ წყალში დაჰყო კარგა ხანს,
ყვინთავდა ფეხებმორთხმული,
მეუღლეს გამოეცხადა
გადანასკვული ხორთუმით.
მეუღლემ ერთი შეჰკივლა:
—„ეს რას ჰგავს, რა დაგმართნია!“
—„ექიმმა ასე მიბრძანა,
მეხსიერებას არგია“!
—„მითხარ, მაინც რა გიბრძანა“,—
ცოლი წუხს ნერვებაშლილი.
არ ახსოვს—თუ რა ურჩიეს,
სდუმს თევდო ხორთუმაშვილი.



თარგმანი **რ. მარგიანისა**

რ. თავდიდოვილი

ხატაურას წერილი

ნახატი. ა. კანდელაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო კარგო მეგობრებო!

ყნდა გიამბოთ ერთი ამბავი, რომელიც ამას წინათ შემემთხვა. ~~[illegible]~~; ბევრი ვყოთვალთვალე ბებერს, იქნებ რაიმე დარჩენილა სამზარეულოში, მაგრამ ამაოდ; მერე მეზობლის სამზარეულოში შევიპარე. შევდი თუ არა თაგვის სუნი მეცა. სულგანაბული ვეძებდი; ვიოთხა თუ არა, ენინ გავარდეს, წრუწუნა მაინც გამოჩენილიყო, ის შეჩვენებულები კი არ ჩანდნენ, ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა. დავიღალე ეძებინით.

ეუცრად, რას ხედავს ჩემი თვალები, პირდაპირ თარეზე მინის ქილა დგას, შიგ რძეა! ვისკუპე და თარეზე შევხტი, ენით ვეი ჩავწვდი რძეს და თავი ქილაში ჩავყავი, დავინყე სვლება და გულიც გვარიანად ვიჯერე; ტუჩები რომ მოვიტეხე და თარეზიდან გადმოხტომა დავაპირე, ქილიდან თავი ვერ ამოვყავი; ვნანადი და შეველას ვითხოვდი თავზე ქილაჩამცმული. ყველა ნარინარი შემომესმა, სად იყო და სად არა ~~[illegible]~~ თაგვებმა გამოყვეს თავი, ხელადგნენ ჩემს აბედუტენებას და სიცილით კვდებოდნენ. ერთი თაგვი ისე გათავხედდა, რომ მომიახლოვდა და დინჯშემყოლმა მ

ასახა: „თვალიც დაგდგომია, ბებერ, გაუმაძღარო, ერთხელ ჩვენც ვყოფილიყავ, შენს სეირს“. ვარ სირცხვილი, ვარ თავისმოკლავ, ყველაფერი ხატაურა ოგეს გაეგონა, სამზარეულოში შემოვარდა, მე ჩემი ენავიდი გიას გაეგონა, სამზარეულოში შემოვარდა, მე იმედი მომეცა, ახლა კი მეშველა-მეთქი, მაგრამ გიამ ყველანი გაბრუნდა და ოცდაათამდე მოაპარინა...

ანე, ჩემო მეგობრებო, ამ ამბავზე აღარ მეცხოვრება, საფიქრალად გამიტყდა სახელი და თაგვებიც სასაცილოდ მიგდებენ. ახლა მსუბუქებას ვერიდები, მაგრამ ხალა დრესია!

თქვენი ხატაურა

ბიბლიოთეკა

ნანა კანდელაკი

ნახატი ლ. შენგელიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბოლარა წიწილა

ნაბოლარა წიწილა ძალზე გვიან გამოიჩეკა. კრუხმა როგორც კი გაიგონა წიწილის ხმა, უმალ ფრთა გაშალა, პატარას კვერცხის ნაჭუჭიდან გამოსვლა უშველა და თავით ფეხამდე შეათვალიერა.

— წიავ, წიავ! წიავ, წიავ! — აწიწინდა ნაბოლარა წიწილა და დედას გვერდით დაუდგა. წიწილები ჟრიამულით აფოფხდნენ კალათზე, რომელშიც კრუხი იჯდა, და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ცქერა ძამიკოს.

— ნაბოლარა ყველაზე უმცროსია, არ აწყენინოთ, სუსტია. — დაარიგა კრუხმა შვილები.

რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ოჯახი პირველად გავიდა ეზოში. თუთის ქვეშ ქათმებს მოეყარა თავი, კრუხმაც შვილები იქით წაიყვანა და ასწავლიდა, როგორ ჩაეტკბარუნებინათ ყელი მწიფე თუთით.

ნაბოლარამ ტირილი დაიწყო.

— რა გატირებს? — მიირბინა მასთან კრუხმა.

— მშია-ა-ა...

— მერე, რატომ არა ჭამ? დახე, რამდენი საჭმელია!

— არ შემიძლია ჭამა. ძნელია-ა-ა.

— რატომ არ შეგიძლია? — გაუკვირდა კრუხს.

— არ შემიძლია-ა-ა! — ჯიუტად გაიძახოდა ნაბოლარა.

— სცადე, ნაბოლარა, სცადე, გინდა დაგეხმარები. აი, მიყურე!

კრუხმა მიწას რამდენიმეჯერ დაარტყა ნისკარტი, მერე გაქექა მიწა და ხმამაღლა შესძახა:

— შეხედე, ჭია! ჩაარტყი ნისკარტი!

ნაბოლარამ უხალისოდ შეათვალიერა ჭია, სახე იბრუნა და განაგრძო წივწივი.

— ჩაჭკარ ნისკარტი! — დაუყვირა კრუხმა, — ჩაჭკარ, თორემ გაგექცევა.

ნაბოლარამ შეწყვიტა ტირილი, ნელა დაიხარა ჭიისაკენ, შეათვალიერა, მერე დაუმიზნა ნისკარტი და ჩაჭკრა. კისერი წაიგრძელა, ჭია გადასანსლა და გაეღიმა.

— რა, მოგეწონა? — ჰკითხა კრუხმა.

— კარგია!

— შენ კი ამბობდი, ძნელიაო...

იმ საღამოს კრუხ-წიწილა გვიან დაბრუნდა შინ.

— აღარა ვარ პატარა! განა პატარას შეუძლია ასეთი დიდი ჭიაყელას დაჭერა? — ამაყად გაიძახოდა ნაბოლარა და მსუქან ჭიაყელას მოათრევდა.

ყდაზე: „ჩიტი და მელა“. ნახატი შ. ცხადაძისა

რედაქტორი ითოვ ნინეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ქ. გოგაიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სახარულიძე, ნ. უნდაფაშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამერვე წელი ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 6, июнь 1956 г. Тбилиси. Ленина 14.

საბჭოტბაში, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3 ა7-38. გამოდ. შეკვ. № 251; სტამბის შეკვ. № 6381ბ/ბ. ტირაჟი 16.000. უე 08251 ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/V 55 წ. ტექსტი ამზადებია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ყურნალი დამზადებია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკა“ სტამბაში.

18-3/324

მეთევზე დათუნა

ნახატები პ. კანდელაკისა





...მეთევზე დათუნა ცოტა დაბნეულია. დაეხმარეთ იპოვოს, სად დაეკარგა თევზი, ჭურჭელი და ქუდი. თვითონაც სად დაგვემალა?!